ჩვენს დიად საშობლოში

შესანიშნავი გამარჯვება

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა მიაღწიეს ახალ შრომით გამარჯვებას — შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის ვალდებულება. სახელმწიფო ბეღლებში შენახულია 15 მილიონი ფუთი მარცვალი ანუ ერთნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1962 წელს. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

მინდვრის მშრომელებმა გადაწყვიტეს მისცენ სამშობლოს კიდევ 3 მილიონი ფუთი ბრინჯი. ამგვარად რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან სულ 18 მილიონ ფუთ მარცვლეულს.

მოძმე ხალხთა ფილმეგი

ბაკო, 9 სექტემბერი. (საკდესის კორ.). აზერბაიჯანის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს კინოთეატრ „ვეტენში" დაიწყო ამიერკავკასიის მომძმე რესპუბლიკების ფილმების ფესტივალი. მის პროგრამაშია სურათები, რომლებიც ასახავენ მტკიცე მეგობრულ კავშირს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელთა შორის, იმაზე თუ რა თავდადებით მუშაობენ ისინი ერთიან მწყობრში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ფესტივალზე ნაჩვენები იქნება ქართველი კინემატოგრაფისტების ნამუშევრები — „ჩვენი ეზო", „დღე პირველი, დღე უკანასკნელი", მათი სომეხი კოლეგების — „დედის გული", აზერბაიჯანის კინოხელოვნების ნაწარმოებები „საყვარელი სიმღერა", „ჩვენი ქეჩა" და სხვები. (საკდესი).

ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს

მოსკოვი, 11 სექტემბერი. (საკდესი). „სოკოლნიკის" პარკში გუშინ ზაფხულიადბური გამოცოცხლება იყო. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები მიიჩქაროდნენ გამოფენაზე „ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს", რომელიც თხუთმეტი აგვისტოდან 700 ათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა. დღეს გამოფენა დაიხურა.

სტუმრების შთაბეჭდილებებს ყველაზე უკეთ მოწმობს მათი ბევრი ჩანაწერი. „აი რა შეუძლია გააკეთოს თავისუფალმა ხალხმა და სოციალისტურმა სისტემამ, აი რა შეუძლიათ კომუნისტებს", — წერს 64 წლის პენსიონერი ნ. კრაინოვი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ბულგარელ მეგობრებს გამოფენისათვის, ხაზი გაუსვა, რომ გამოფენაზე ნახა „ბულგარული სასწაული".

„ჩვენ გულწრფელად გვახარებს თქვენი მიღწევები ტექნიკის, კულტურის დარგში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში", — ჩაწერეს მოსკოვის მანქანათსაშენებელი ქარხნის დელეგაციის წევრებმა. „გამოფენაზე, რომ ვიყაოვით, ჩვენ თითქოს ვნახეთ თქვენი ქვეყანა" — აღნიშნეს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

გუშინ გაცხარებული მუშაობა ჰქონდათ სსრ კავშირისა და ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, მით უმეტეს რომ ისინი დიდი თანხის გარიგებას დებდნენ. გამოფენაზე ხელმოწერილი კონტრაქტების საერთო თანხამ 326 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ბულგარეთი საბჭოთა კავშირს მიაწოდებს სხვადასხვა მანქანას, ავეჯს, ტანსაცმელს, კონსერვებს, ხილს, სსრ კავშირი ბულგარეთში შეიტანს მანქანათსაშენებელი მრეწველობის ნაკეთობებს, ლითონს, ქიმიკატებსა და სხვა საქონელს.

გამოფენის შედეგების შეჯამებისას ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ანგელოვმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მისი ქვეყნის მიღწევებმა მიიპყრეს საბჭოთა ადამიანების, კერძოდ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების დიდი ყურადღება.

— ეს კონტაქტები დიდ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებაზე,—განაცხადა მან. — ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ გამოფენამ „ბულგარეთი აშენებს სოციალიზმს" ნ. ს. ხრუშჩოვის, ლ. ი. ბრეჟნევის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა მაღალი შეფასება მიიღო. გამოფენამ მნიშვნელოვნად გააადვილა სავაჭრო მოლაპარაკება. არასდროს ასე მცირე დროის მანძილზე არ დაგვიდვია ასეთი თანხის კონტრაქტები.

აზერბაიჯანის სსრ. საბაგირო გზა, რომელიც ნახჭევნის ლენინის სახელობის მარილის სამადნეს რკინიგზასთან აკავშირებს, 18 კილომეტრი სიგრძისაა. ეს ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის ერთ-ერთი ყველაზე გრძელი გზაა. წლის განმავლობაში ამ გზით გადაიქცევ 180 ათასამდე ტონა მარილი.

სურათზე: გზის ერთ-ერთი უბანი.

ფოტო ი. რახილისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 214 (12726) | ხუთშაბათი, 12 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი საჩუქრები

5 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია

ქუთაისი. (საკ. კორ.). შეჯამებულია ქალაქის მრეწველობის რვა თვის მუშაობის შედეგები. ქუთაისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა გადაჭარბებით შეასრულეს რვა თვის დავალება და სამშობლოს გეგმის ზევით მისცეს 5 მილიონამდე მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, ამასთან 106,3 პროცენტით შეასრულა რვა თვის დავალება. აბრეშუმის კომბინატმა 445 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

პროდუქციის გამოშვების დავალება დიდი გადამეტებით შეასრულეს და განვლილ პერიოდში ეკონომიის ფონდში ათასობით მანეთი შეიტანეს აგრეთვე ელექტრომექანიკური, ქიმიური, მცირეგაბარიტანი ტრაქტორების ქარხნების, ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის, ბამბეულის საქსოვი, ტრიკოტაჟის, № 4 და № 8 სამკერვალო ფაბრიკებისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

ოლქებს ბიგანტი — ორი წლისაა

ვოლჟსკი (ვოლგოგრადის ოლქი), 10 სექტემბერი. (საკ. კორ.). დღეს ვოლჟსკის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ჰიდროელექტროსადგურის ენერგეტიკოსები აღნიშნავენ თავიანთი საწარმოს ამუშავების მეორე წლისთავს. ენერგეტიკულმა გიგანტმა სამშობლოს უკვე მისცა 34,5 მილიარდი კილოვატსაათი იაფი ენერგია.

ახლა, როდესაც ემზადებიან დიდი ოქტომბრის 46 წლისთავისათვის ვოლჟსკელები განსაკუთრებით კარგად მრომობენ. მიმდინარე წელს მათ მოსკოვის, ვოლგოგრადის, როსტოვის, ლიპეცკისა და სხვა სამრეწველო ცენტრებს მისცეს 676 მილიონი კილოვატსაათი ზეგეგმითი ენერგია.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ახალგაზრდა ქალაქ ვოლჟსკში აშენებენ მძლავრ ქიმიურ კომბინატს, აბრაზივის, საკისრის და სხვა ქარხნებს. ჰიდრომშენებელთა ქალაქი ვოლგისპირეთის მძლავრ ინდუსტრიულ ცენტრად იქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთვალსაჩინო წვლილი

ჩაქვი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შრომითის გახტენ თვალსაჩინო ჩარმატებები მოიპოვა აჭყვის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა სურნელოვანი ქართული ჩაის გამოშვებაში.

სეზონის დაწყებიდან დამზადებულია 65 ტონაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია. შესრულებულია უმაღლესი ხარისხის ჩაის პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. წარმატებით მიმდინარეობს „საქართველოს თაიგულის" გამოშვება.

მეკაბელეთა შრომის კარგი შედეგი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური მეტალურგები და მეკაბელეები მეზობლად შრომობენ. მათ რკინიგზის ლიანდაგზე ჰყოფთ. მეტალურგთა კარგი წამოწყება პირველად სწორედ კარის მეზობლებმა — მეკაბელეებმა შეიტყეს, წლიური გეგმის ვადამდე შესრულება და სულ მცირე 500 კილომეტრი სხვადასხვა მარკის ზეგეგმური კაბელის გამოშვება იკისრეს.

ქართველი მეკაბელეები წარმატებით შრომობენ, მათ დადაჭარბებით შეასრულეს რვა თვის დავალება და კარგად მუშაობენ სექტემბერშიც. წარჩინებული მუშები ზ. ჭუბერიძე, მ. ალავიძე, ლ. გორგაძე, ო. ბუხნიკაშვილი და სხვები მამაცური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

მეაგრეშუმეეგი შრომითს ვახტზე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მეაბრეშუმეებმა გადაწყვიტეს ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ საქართველოს კპ XXII ყრილობას. მათი ვალდებულებაა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე სამშობლოს მისცენ 40 ათასი მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი. მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას გეგმით გათვალისწინებულზე ერთი პროცენტის გადამეტებით, 35.000 მანეთის ნედლეულის დაზოგვას.

იკისრეს რა ეს ვალდებულება, მეაბრეშუმეები მოხდომებით შეუდგნენ მის შესრულებას. ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების 8 თვის გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 254 ათასი მანეთის პროდუქცია. განვლილ შვიდ თვეში პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 24 ათასი მანეთით, დაზოგილია 1 ტონა და 900 კილოგრამი ნედლეული.

ვოლგოგრადი ლიდერობს

ვოლგოგრადი, 11 სექტემბერი. (საკ. კორ.). ვოლგოგრადის ოლქის ინდუსტრიულ საწარმოებში ამ თვეში ბრძოლა გაიმართა ლიდერობისთვის. ოლქის ინდუსტრიულ საწარმოთა ბრიგადებმა ეს ბრძოლა ბრწყინვალედ ჩააბარეს. ბრიგადა ბ. ბ. ბ.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ, ᲕᲐᲨᲕᲔᲜᲝᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

წარმოებს უკანასკნელი მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პოლიტიკური განათლების სისტემაში. ახორციელებენ რა ივნისის პლენუმის მითითებებს, პარტორგანიზაციები ცდილობენ უფრო ფართოდ გაშალონ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, აამაღლონ მისი იდეური დონე, სრულყონ ფორმები. რა არის საჭირო ამისათვის, რა მიმართულებებით უნდა წარმოებდეს მუშაობა, რას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება? ეს და ბევრი სხვა საკითხი, რომლებსაც პრაქტიკა აყენებს, ყოველმხრივ იქნა განხილული მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების იდეოლოგიურ განყოფილებათა მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირ-სემინარზე, რომელიც აგვისტოში გაიმართა. თათბირზე განზოგადებულ იქნა გამოცდილება, გამომჟღავნებულ იქნა ნაკლოვანებანი, განისაზღვრა მასების პოლიტიკური განათლების შემდგომი გაუმჯობესების კონკრეტული გზები.

რა ამოცანები უნდა გადაიჭრას ახალ სასწავლო წელს?

პოლიტიკური განათლების არსებული სისტემა მრავალი წლის გამოცდილებითაა შემოწმებული. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს სისტემა საკმაოდ მოქნილია, რათა დაკმაყოფილოს კომუნისტებისა და უპარტიოების განუწყვეტლივ მზარდი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი, და ამიტომ ძირეული გარდაქმნა არ ესაჭიროება.

ახლა მთავარი, რასაც ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს და საითკენაც მიმართული უნდა იყოს პარტორგანიზაციების ძალღონე, — ეს არის მუშაობის შინაარსი, პოლიტიკური სწავლების იდეურ-თეორიული დონის, ეფექტურობის ამაღლება. უწინარეს ყოვლისა ამაზე მიგვითითებენ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამჟამად პარტიის წინაშე დადგა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და რთული ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის დარგში. მწვავდება ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, და ამჟამად მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. პოლიტიკური განათლების სისტემა მოწოდებულია შეაიარაღოს კომუნისტები და უპარტიოთა ფართო ფენები ჩვენი პარტიის თეორიით, მეცნიერული მსოფლმხედველობით. თანამედროვე პირობებში, როცა წარმოებს ბრძოლა დოგმატიზმთან, როგორც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მთავარ საშიშროებასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოვუმუშაოთ მსმენელებს შემოქმედებითი დამოკიდებულება რევოლუციური თეორიისადმი, ვასწავლოთ მათ მისი უნარიანად გამოყენება პრაქტიკაში, ამ თეორიით სარგებლობა თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამისათვის საჭიროა პარტიული განათლების ყველა რგოლში საქმით უზრუნველვყოთ ღრმად შესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმისა, სკკპ პროგრამაში, პარტიის XX, XXI, XXII ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში წამოყენებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემებისა, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისა. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბოლომდე დავძლიოთ პროპაგანდის მოწყვეტა ცხოვრებისგან, კიდევ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ იგი კომუნისტური მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკას. საჭიროა ისე ვაწყობდეთ პოლიტიკურ სწავლებას, რომ იგი სულ უფრო ძლიერ, უშუალო გავლენას ახდენდეს წარმოებაზე, ადამიანთა ყოფაცხოვრებაზე, საქმეებსა და ქცევაზე. თვითეული მეცადინეობის შინაარსი მხოლოდ სასწავლო პროგრამის ჩარჩოებით არ უნდა ისაზღვრებოდეს საჭიროა გავამდიდროთ იგი საკითხებით, რომლებსაც პარტია ამჟამად წყვეტს. იმავე მიზანს შეუწყობს ხელს, თუ პოლიტიკური განათლების ყველა რგოლში უაღრესად ფართოდ იქნება გამოყენებული მსმენელთა პოლიტიკური მომზადება განუყრელად იქნება შეხამებული პროფესიულ-ტექნიკური მომზადებასთან, მოწინავე საწარმოო გამოცდილების შესწავლასთან და ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებასთან. ერთი მთავანია კომუნისტური შრომის სკოლები. თათბირზე მოწონებულ იქნა ვორონეჟის სასოფლო პარტორგანიზაციის გამოცდილება სპეციალური სასწავლო კომბინატების შექმნის საქმეში, რომლებშიც მსმენელები იღებენ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას საღამოს სკოლის პროგრამით და ამავე დროს სწავლობენ კონკრეტულ ეკონომიკას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, აგრონომიასა და ზოოტექნიკას, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემებს, მოწინავეთა გამოცდილებას.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით განავითარონ თვითგანათლების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის კოლექტიური ფორმები. დიდი მნიშვნელობა აქვს ზომების მიღებას იმისათვის, რომ არცერთი ამხანაგი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად იმეცადინოს, ჩარიცხული არ იყოს წრეში. თვითგანათლების შეუფასებლობა ამცირებს პოლიტიკური სწავლების ქმედითობას, სერიოზულ ზიანს აყენებს კომუნისტებისა და უპარტიოების იდეურ ზრდას.

ბოლოს, ყველა პარტიულმა კომიტეტმა უნდა გეფიქროს იმაზე, თუ უკეთ როგორ ჩააყენოს პოლიტიკური განათლების საქმის სამსახურში პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო და პროპაგანდის სხვა ტექნიკური საშუალებანი. მაგალითად, თათბირზე მოწონებულ იქნა ციროვოგრადის საოლქო პარტორგანიზაციის ინიციატივა: იქ გადაწყვიტეს წრეების მეცადინეობა პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებსა და პარტიის ისტორიაში დაეწყოთ ყველა მსმენელის მიერ კინოფილმ „რუსული სასწაულის“ კოლექტიური ნახვითა და განხილვით.

ერთი სიტყვით, პოლიტიკური განათლების სისტემა, ისევე როგორც თვით ცხოვრება, არ შეიძლება ადგილზე იდგეს. იგი განუწყვეტლივ უმჯობესდება, ახალი ამოცანების შესაბამისი ხდება.

რას სწავლობენ პოლიტიკური განათლების სისტემაში?

ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ეს კარგად არის ცნობილი. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ღირს იმის გამო, რომ ზოგან ჯერ კიდევ მთლიანად როდი იყენებენ მთელ იმ უმდიდრეს შესაძლებლობებს, რომლებსაც პოლიტიკური განათლების სისტემა მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდისათვის, იდეური აღზრდისათვის იძლევა. ზოგიერთ პარტორგანიზაციაში წლითიწლობით ქმნიან ერთნაირი პროფილის წრეებს. განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ რსფს რესპუბლიკის სასოფლო პარტორგანიზაციებში ფილოსოფიას, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს ყველა მსმენელთა მეოცედ ნაწილზე ნაკლები სწავლობდა? ზოგჯერ მსმენელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში იძულებული არიან ერთი და იგივე ისწავლონ. ერთი ადგილის ასეთი ტკეპნა უჩლუნგებს მათ ინტერესს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი, მეცადინეობა მოსაწყენი ხდება, პოლიტიკური სწავლება სამძიმო მოვალეობად იქცევა.

საქმის სწორი ორგანიზაციის დროს კი არცთუ ისე ძნელია ამის თავიდან აცილება. ჩვენში შეიქმნა პოლიტიკური განათლების მოქნილი სისტემა, რომელიც შესაძლებელს ხდის მაქსიმალურად დააკმაყოფილოთ კომუნისტებისა და უპარტიოების სხვადასხვა მოთხოვნილებები და ინტერესები, განუწყვეტლივ ვიაროთ წინ, შევიძინოთ სულ ახალი, უფრო ღრმა ცოდნა.

მარქსიზმ-ლენინიზმი წარმოადგენს მთლიან და მწყობრ მოძღვრებას, რომელიც შეიცავს ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას და მეცნიერული კომუნიზმის თეორიას. პოლიტიკური განათლების სისტემაც ისეთი ვარაუდით არის აგებული, რომ მასში მეცადინეობისას მსმენელები ეცნობოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ სამივე შემადგენელ ნაწილს, ხოლო შემდეგ თანდათანობით იღრმავებდნენ ცოდნას.

კომუნიზმის შეგნებული მშენებლისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ღრმად ერკვეოდეს ეკონომიური თეორიის საკითხებში. ჩვენს დროში შეუძლებელია მეურნეობის წარმატებით გაძღოლა, უმცირესი დანახარჯებით საუკეთესო შედეგების მიღწევა, თუ არ დავეყრდნობით ეკონომიურ მეცნიერებას, არ გვეცოდინება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების კანონები. ამ მეცნიერების შესწავლა წარმოებს პოლიტიკური ეკონომიისა და კოსკრეტული ეკონომიკის წრეებსა და სემინარებში. აქ მსმენელები განიხილავენ ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებით ურთიერთობას, საზოგადოების განვითარების ეკონომიურ კანონებს, მეურნეობას სოციალისტური სისტემის უპირატესობებს კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით და ა. შ. ერკვევიან ამ პრობლემებში, აკეთებენ მათგან პრაქტიკულ დასკვნებს თავიანთთვის. ხოლო რა ცხარე კამათი ჩაღდება, როცა საუბარი ჩამოვარდება საკუთარი კოლექტივის საქმეებზე! რა არის შრომის ნაყოფიერება, როგორ გავადიდოთ იგი, გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება, გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი? როგორია თვითღირებულების სტრუქტურა და მისი შემცირების გზები? უკეთ როგორ მოვაწყოთ ადამიანთა შრომა წარმოებაში? ამ და ბევრ სხვა საკრბოროტო საკითხზე რომლებსაც პრაქტიკა აყენებს, ეკონომიური წრეების სემინარების მსმენელები იღებენ კონკრეტულ პასუხს, სწავლობენ ეკონომიური ანალიზის გაკეთებას, გამოუყენებელი რეზერვების გამონახვას.

ჩვენი კომუნისტური პარტიის გმირულ ისტორიაზე იზრდებოდნენ და კვლავაც აღიზრდებიან მშრომელთა ბედნიერებისათვის მებრძოლთა მთელი თაობები. თვითეულმა კომუნისტმა, განსაკუთრებით ახალგაზრდამ, რომელიც ეს არის შესულა სკკპ რიგებში, უნდა იცოდეს, თუ როგორ გადაიქცა დიდი ლენინის მიერ შექმნილი და აღზრდილი ჩვენი პარტია მცირერიცხოვანი დაჩაგრული მარქსისტული წრეებიდან მთელი საბჭოთა ხალხის მძლავრ მრავალმილიონიან ავანგარდად, რა სიძნელეთა დაძლევა მოუხდა მას მშრომელთა განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, რის მეოხებით მიაღწია მან მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს თავისი საბოლოო მიზნისაკენ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი პარტიის გამოცდილებით კომუნისტი სწავლობს, როგორ უნდა მუშაობდეს მასებში, როგორ გაიყოლიოს ისინი, როგორ განახორციელოს მეცნიერული კომუნიზმის იდეები. ჩვენი პარტიის ისტორია გვიჩვენებს ცოდნით, რომელიც აუცილებელია

სად წავიდეთ სასწავლად?

მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ოპორტუნისტული და დოგმატური შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

მეცნიერული მსოფლმხედველობის ათვისებას აქტიურად უწყობს ხელს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლების დაუფლება. ფილოსოფიის წრეებსა და სემინარებში მსმენელები იღებენ ღრმა და მთლიან წარმოდგენას იმაზე, თუ რა ბრის სამყარო და როგორ ვითარდება. იგი, როგორია ადამიანის ადგილი სამყაროში და ძალუძს თუ არა მას შეიცნოს და გარდაქმნას სინამდვილე, რატომ იცვლება საზოგადოებრივი ცხოვრება და უკეთ როგორ უნდა მოეწყოს იგი და ა. შ. ამ რთული, მაგრამ წარმტაცი მეცნიერების შესწავლა ხელს უწყობს იმას, რომ ადამიანს გამოუმუშავდეს ფართო შეხედულება გარემო სინამდვილეზე.

უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტად ვრცელდება ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური პრობლემების, მორალისა და კომუნისტური აღზრდის, ათეიზმის, ესთეტიკის შემსწავლელი სემინარები. ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ მათი მნიშვნელობა პრაქტიკული მუშაობისათვის. მუშისა და ინჟინრისათვის, ექიმისა და მასწავლებლისათვის, მეცნიერისა და მხატვრისათვის — თვითეულისათვის სასარგებლოა დაეუფლოს მარქსისტულ დიალექტიკას, ისწავლოს ამ დიალექტიკით ხელმძღვანელობა ცხოვრებაში. მეცნიერს იგი შეაიარაღებს კვლევის მეცნიერული მეთოდით. მწერალს, მსახიობს მიუთითებს სწორ ორიენტირს, დაეხმარება ღრმა ნაწარმოებთა შექმნაში, იმაში, რომ სიმართლით და მკაფიოდ ასახოს სინამდვილე თავის შემოქმედებაში.

სწორად იქცევინ ის პარტორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის შემსწავლელ წრეებსა და სემინარებს.

პოლიტიკური განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მომდინარე პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების, მსოფლიო კომუნისტური, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემების შემსწავლელ წრეებსა და სემინარებს. ამ წრეებსა და სემინარებში მეცადინეობისას მსმენელები სწავლობენ საერთაშორისო ცხოვრების მოვლენებში გარკვევას, მათს ანალიზს მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ბევრ რამეს იგებენ სოციალისტური ქვეყნების ცხოვრების შესახებ, მომძლე კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრძოლის შესახებ.

ყველაფერი ეს დამაჯერებლად, გასაგებად უნდა განემარტოთ კომუნისტებსა და უპარტიოებს, რათა გაუღვიძოს მათ კიდევ უფრო მეტი ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისადმი, ისისადმი მისწრაფება, რომ იმეცადინონ პარტიული განათლების ქსელში, გარუწყვეტლივ აიმაღლონ იდეური დონე.

სად შეუძლიათ მეცადინეობა დაუმთავრებელი საშუალო, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტებს?

პოლიტიკური განათლების სისტემის მოქნილობა თავს იჩენს არა მარტო იმ საგნებსა და პრობლემების სიმრავლით, რომლებსაც იქ ასწავლიან, არამედ სწავლების ფორმების სხვადასხვაობითაც დაწყებითი, საშუალო თუ უმაღლესი განათლება აქვს კომუნისტს, იგი ყოველთვის შეძლებს აირჩიოს თავისთვის სწავლის ისეთი ფორმა, რომელიც მას უფრო მოსწონს, რომელიც ყველაზე სასარგებლოა მისთვის და მის ძალებს შეეფერება.

დაწყებითი განათლების მქონე ამხანაგებისათვის, რომლებიც წინათ პოლიტიკურ სწავლებაში არ ყოფილან ჩაბმული, სასარგებლოა შევიდნენ პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების შემსწავლელ წრეში. აქ ისინი გაეცნობიან სკკპ თეორიის, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითად საკითხებს, შეიძენენ პოლიტიკური ლიტერატურის კითხვის ჩვევებს, ისწავლიან შესწავლილი მასალის გადაცემას ამხანაგებისათვის.

უფრო მომზადებულ ამხანაგებს, რომლებსაც დაუმთავრებელი საშუალო განათლება და პოლიტიკური სწავლის გამოცდილება აქვთ, შეიძლება ვურჩიოთ ერთ-ერთი სახის წრე: სკკპ ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე და ა. შ. ამ წრეებში უფრო საფუძვლიანად სწავლობენ თეორიას. მართალია, აქ უფრო მეტი უხდებათ კითხვა, კონსპექტების შედგენა. მაგრამ სამაგიეროდ ცოდნასაც უფრო ღრმას იღებენ მსმენელები.

შემდეგი, უფრო მაღალი ფორმაა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლა, ანუ პოლიტიკური თვითგანათლება. სწავლის ეს ფორმა ნავარაუდევია საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებისათვის, რომელებსაც აქვთ საკმარო ცოდნა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე, პარტიულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვეულება. ისინი, რომლებიც ამ ფორმას აირჩევენ, სწავლობენ ფილოსოფიურ, ეკონომიურ, ისტორიულ და საერთაშორისო პრობლემებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველაზე ეფექტურია თვითგანათლების კოლექტიური ფორმები, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია თეორიული სემინარები. ამხანაგები დამოუკიდებლად სწავლობენ ლიტერატურას და პერიოდულად — თვეში ერთხელ-ორჯერ — იკრიბებიან, რათა ერთად განიხილონ საკვლევი, ყველაზე უფრო რთული თეორიული საკითხები, შეამუშაონ პრაქტიკული წინადადებანი. მათ დასახმარებლად ეწყობა ლექციები, ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. საჭიროა ფართოდ იქნას გამოყენებული მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელებთან მუშაობის ისეთი ფორმებიც, როგორიც არის თეორიული კონფერენციები, პოლიტიკური ინსტრუქტაჟი, ისინი აქტიურად იქნან ჩაბმული რეფერატების, მოხსენებების, პრესისათვის სტატიების მომზადებაში და ა. შ.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად სწავლა მოითხოვს არა მარტო საკმაო მომზადებას, არამედ დიდ შინაგან დისციპლინირებასაც. თვითგანათლებაზე მომუშავისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სისტემატურად მუშაობას. თორემ ზოგიერთნი ირჩევენ სწავლის ამ ფორმას, შემდეგ კი ვეღარ პოულობენ დროს სამეცადინოდ. სასწავლო წელი უკვე დიდი ხანია დაწყებულია, ზოგიერთი ამხანაგი კი ყოველთვის გადადებს ხოლმე მეცადინეობას: ეი ხვალ შევუდგები, ეს ერთი კვირის შემდეგ მოვკიდებ ხელსო. დრო მიდის, მოიწევდა, და სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება, მას კი წინანდებურად, როგორც გოგოლის მანილოვს, კაბინეტში მუდამ უდევს „რომელიღაც წიგნი, რომელშიც მეთოთხმეტე გვერდზე ჩადებული აქვს სანიშნი და რომელსაც მუდამ კითხულობდა უკვე ორი წლის მანძილზე“.

მაგრამ დავუბრუნდეთ პოლიტიკური განათლების სისტემას. აქვე უნდა თქვას, რა ზუსტია ეს სახელწოდება — სისტემა: იგი შეიცავს დაწყებით სკოლას, წრეს, თეორიულ სემინარს და, ბოლოს, უმაღლეს ფორმას — მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს. უნივერსიტეტში მსმენელები იმდენად სოლიდურ მარქსისტულ-ლენინურ მომზადებას იღებენ, რომ დამთავრების შემდეგ თვითონ შეუძლიათ იმუშაონ პროპაგანდისტებად. ბევრ უნივერსიტეტთან არის ფაკულტეტები: ფილოსოფიური, ეკონომიური, ისტორიული და სხვა.

ამრიგად, თვითეული ამხანაგის წინაშე, რომელმაც გადაწყვიტა შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური თეორია, სწავლის ფორმების დიდი არჩევანია. ყველაზე შესაფერი ფორმის არჩევაში კომუნისტს უნდა დაეხმარონ პარტბიუროო, პარტკომი, პროპაგანდისტები. მათ უნდა: ურჩიონ, სად სჯობს იმეცადინოს. სწავლების ისეთი ფორმა უნდა აირჩიო, რომელიც შენს ძალღონეს შეეფერება. მაგრამ ძალღონის შესაბამისად არჩევა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აირჩიო ყველაზე იოლი. თორემ ზოგჯერ როგორ ხდება? ზოგ კომუნისტს უმაღლესი განათლება აქვს და სავსებით შეუძლია დამოუკიდებლად შეისწავლოს თეორია. მაგრამ, როგორც იტყვიან, იოლი ცხოვრებით გატაცებული, იგი წრეში ეწერება. მთელ წელიწადს არაფერს არ აკეთებს, ძველი კონსპექტებით სარგებლობს და „წარმატების მქონე“ მსმენელად ითვლება. მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ წარმატებას, ასეთ სწავლას? თვითეული ადამიანი თავის პოლიტიკურ განათლებაში მუდამ წინ უნდა მიდიოდეს, წლითიწლობით საფეხურთი მაღლა იწევდეს.

პარტორგანიზაციები მიაღწევენ ამას, თუ ეცდებიან უზრუნველყონ თანამომდევნობა პოლიტიკური განათლების ფორმების არჩევაში, მსმენელთა თანმიმდევრული გადასვლა დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალ ფორმებზე, თუ პოლიტიკური განათლების ქსელს ისეთი ანგარიშით ააგებენ, რომ სწავლის პროცესში კომუნისტი თანდათანობით გაეცნოს მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა შემადგენელ ნაწილს, ეუფლებოდეს მას, როგორც ნამდვილად მოლიან მეცნიერებას.

ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ლენინგრადის „ქარხანა „ელექტროსილაში“ პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის გამოცდილება. აქ ჯერ კიდევ შარშან მეცადინეობის დაწყების წინ პარტკომის იდეოლოგიური კომისიის წევრები, პროპაგანდისტები ესაუბრნენ მსმენელებს, თვითეულ მათგანს დაეხმარნენ შეედგინათ სწავლის ხუთი-ექვსი წლის პერსპექტიული გეგმა. ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადების დონის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, თუ თვითეული რას სწავლობდა წინათ, გეგმებში ითვალისწინებენ შესაბამისად სკკპ ისტორიის, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის შესწავლას. ამ გეგმების შესაბამისად ქარხანაში შეიქმნა ხუთი სემინარი მეცნიერული კომუნიზმის თეორიის საკითხებზე, სამი — ფილოსოფიის, ცხრა — პოლიტიკური ეკონომიის სემინარი, სკკპ ისტორიის 14 წრე და სემინარი, 10 — კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრე და სემინარი.

პარტიული კომიტეტები შეუსუსტებელ კონტროლს უნდა უწევდნენ ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკურ სწავლებას, ინტერესს უნდა იჩენდნენ არა მარტო იმისადმი, თუ როგორ აღწევენ ისინი საწარმოო გეგმების შესრულებას, არამედ იმისადმიც, თუ როგორ ასრულებენ პირად სასწავლო გეგმებს, როგორ მონაწილეობენ პროპაგანდისტულ და საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში.

შეუძლია თუ არა პარტორგანიზაციას კონტროლს უწევდეს კომუნისტების სწავლებას და როგორ უნდა კეთდებოდეს ეს?

პარტიულ ორგანიზაციას უფლება აქვს და მოვალეც არის კონტროლს უწევდეს სკკპ წევრთა და კანდიდატთა სწავლებას. სხვა საქმეა — როგორ, რა მეთოდებით უნდა ხორციელდებოდეს ეს კონტროლი.

რა თქმა უნდა, ლაპარაკიც არ შეიძლება რაღაც პოლიტიკურ გამოცდებზე ან ნიშნების დასმაზე. საქმე ეს კი არ არის. არსებობს კონტროლის ბევრი სხვა ფორმა. შეიძლება, მაგალითად, დავავალოთ ამხანაგს გააკეთოს მოხსენება იმ პრობლემაზე, რომელსაც იგი სწავლობს. ან თეორიულ კონფერენციაზე გამოვიდეს. ან საუბრებს აწყობდეს კოლექტივში. და, ბოლოს პროპაგანდისტს ჩინებულად შეუძლია თქვას, თუ როგორ სწავლობს თვითეული მისი მსმენელი. ოღონდ საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მათი მოადგილეები, პარტჯგუფორგები მუდამ ცდილობდნენ შეიტყონ ეს, ხვდებოდნენ პროპაგანდისტებს, კონსულტანტებს, იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმს, ამხანაგურად ესაუბრებოდნენ მათ, ინტერესს იჩენდნენ იმისადმი, თუ რაზე და როგორ მეცადინეობენ კომუნისტები.

როცა ლაპარაკია იმაზე, რომ თითქოს დაუშვებელია კონტროლის გაწევა იმისათვის, თუ იდეურად როგორ იზრდებიან კომუნისტები, ზოგიერთი ამხანაგი ზოგჯერ იმოწმებს პოლიტიკური სწავლების ნებაყოფლობითობას. დიახ, ნებაყოფლობითობა პოლიტიკური განათლების ორგანიზაციის წამყვანი პრინციპი იყო და კვლავაც არის. პარტია გადაჭრით აღიარებს ადმინისტრირების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ კომუნისტები და უპარტიოები ხელაღებით, მათი სურვილის წინააღმდეგ, ჩარიცხონ ამა თუ იმ წრეში. საჭიროა საქმით უზრუნველვყოთ თვითეული კომუნისტის უფლება — აირჩიოს სწავლების ის ფორმა, რომელიც მას აინტერესებს. მაგრამ ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ნებაყოფლობითობას საფუძვლად უდევს შეგნებული მისწრაფება ჰორიზონტის გაფართოებისადმი, სულიერი გამდიდრებისადმი. „თვითეულ კომუნისტს, თვითეულ საბჭოთა ადამიანს, — ამბობდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხ. ლ. თ. ილიჩოვი, — უნდა ესმოდეს, რომ თეორიული ცოდნის ამაღლება პირველ რიგში თვითონ მას ესაჭიროება. ცოდნა ადამიანის ცხოვრებას უფრო ჭკვიანურს, უფრო შინაარსიანსა და საინტერესოს ხდის. პოლიტიკური განათლების შეცნობილი შინაგანი მოთხოვნილება მისი წარმატების საწინდარია“. პარტორგანიზაციას ამოცანაა ყველა ღონისძიებით უვითარებდეს ასეთ მოთხოვნილებას თვითეულ კომუნისტს. მაშინ ლაპარაკიც არ იქნება იმაზე, რომ ისწავლონ თუ არ ისწავლონ. აქ ხომ საკითხიც არ არის. აუცილებლად უნდა ისწავლონ. იდეურ-თეორიული დონის ამაღლება წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნაა, რომელსაც განუხრელად უნდა ასრულებდეს პარტიის თვითეული წევრი. რაც უფრო მტკიცე იქნება კომუნისტების იდეური წრთობა, რაც უფრო ღრმად დაეუფლებიან ისინი მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მით უფრო წარმატებით შესრულდება ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მითითება, რომ უნდა ამაღლდეს პირველადი პარტორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა სკკპ პროგრამისა და წესდების განხორციელებისათვის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, მორალური კოდექსის პრინციპების განხორციელებისათვის, თვითეული საბჭოთა ადამიანის შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისათვის.

უნდა ჩავბაძოთ თუ არა ეკონომისტებს — პარტიული განათლების ქსელში, თუ იგი სწავლობს დაუსწრებელ ტექნიკუმში (ინსტიტუტში) ან მუშა ახალგაზრდობის სკოლაში?

ᲩᲕᲔᲜᲘ ცხოვრება სწრაფად მიდის წინ. ახლა არა მარტო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, არამედ რიგითს მუშებსა და კოლმეურნეებსაც მოეთხოვებათ მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება. პარტია ცდილობს იმის მიღწევას, რომ უახლოეს ოც წელიწადში საზოგადოების წევრთა ძირითადმა მასამ მიიღოს სრული საშუალო და უმაღლესი განათლება. და პარტიული ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა ეხმარებოდნენ კომუნისტებს აიმაღლონ ზოგადსაგანმანათლებლო დონე, უქმნიდნენ მათ საამისოდ საჭირო პირობებს.

კომუნისტის სწავლა საღამოს სკოლაში, დაუსწრებელ ტექნიკუმსა თუ ინსტიტუტში დიდმნიშვნელოვანი პარტიული საქმეა. იგი ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს. ამიტომ, თუ კომუნისტი განათლებას იღებს წარმოებისაგან მოწყვეტლივ, საჭირო არ არის დაჭიანებით მოვითხოვოთ, რომ იგი მეცადინეობდეს პარტიული განათლების ქსელში. მით უმეტეს, რომ ყველა სასწავლებელში სწავლობენ საზოგადოებრივ-ეკონომიურ საგნებს.

როგორია მასობრივი პროპაგანდის ფორმების როლი?

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲜᲔᲚᲘ წლებში მასობრივი პროპაგანდის სხვადასხვა ფორმა გაჩნდა. მუშაობს ათასობით პოპულარული ლექტორიუმი, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის, კულტურის, ჯანმრთელობის უნივერსიტეტები, ეწყობა სახალხო კითხვა. მათი დანიშნულებაა პოპულარული და მისაწვდომი ფორმით განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, კონკრეტული ეკონომიკის აქტუალური საკითხები, გააცნონ ტექნიკური პროგრესს, მეცნიერების, კულტურის მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას. ბევრ უნივერსიტეტში კითხულობენ ლექციებს პოლიტიკურ თემებზე, სკკპ პროგრამაზე, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე, საერთაშორისო და საშინაო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებზე. ამ ლექციებს ემატება მსმენელთა დამოუკიდებელი მუშაობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლიტერატურაზე. ასე რომ ეს ფორმები შეიძლება და საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის, მეცნიერული კომუნიზმ-ს აქტუალური პრობლემების პროპაგანდისათვის, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ მოეწყოს მშრომელთა პოლიტიკური განათლება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მასობრივი პროპაგანდა უნდა უღვიძებდეს ამხანაგებს ინტერესს პოლიტიკური სწავლებისადმი, ეხმარებოდეს იმას, რომ ისინი სისტემატურად მეცადინეობდნენ პოლიტიკური განათლების სისტემის ერთ-ერთ ფორმაში.

როგორ შევარჩიოთ და დავამტკიცოთ პროპაგანდისტები?

ᲗᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘᲡ უნარზე, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის არსის, პარტიის პოლიტიკის განმარტებისას ჩააქსოვოს მთელი სული და გული, ბოლშევიკური მგზნებარება, საკუთარი რწმენა, — გადამწყვეტად არის დამოკიდებული პროპაგანდის წარმატება.

ნამდვილი პროპაგანდისტი შეიძლება იყოს მხოლოდ პატიცემული, ავტორიტეტიანი ადამიანი, რომელსაც აქვს ღრმა რწმენა, აუცილებელი ზოგადსაგანმანათლებლო და პოლიტიკური მომზადება. იმ საგნის კარგი ცოდნა, რომელიც უნდა ასწავლოს, იმის უნარის მქონე, რომ შემოქმედებითად აკავშირებდეს თეორიულ დებულებებს პრაქტიკულ ამოცანებთან, გასაგებად და ცოცხლად განმარტავდეს ყველაზე რთულ საკითხებ

გულითადი შეხვედრა

ბლაგოევგრადი, 10 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილით ბულგარეთში მოგზაურობა დაიწყეს საბჭოთა კავშირის გმირებმა სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავებმა ვ. ვ. ტერეშკოვამ და ვ. თ. ბიკოვსკიმ, რომელებსაც თან ახლავს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლუჩეზარ ავრამოვი.

სოფია-ბლაგოევგრადის გზატკეცილზე საბჭოთა კოსმონავტებს აღტაცებით მიეგებნენ სამხრეთ-დასავლეთ ბულგარეთის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, ხდებოდნენ პურმარილით, ყვავილებით ავსებდნენ გზას, რომლითაც საბჭოთა გმირები მიდიოდნენ.

11 საათზე საბჭოთა კოსმონავტები და მათი თანმხლები პირნი ჩამოვიდნენ ბულგარეთის ძველ ქალაქ ბლაგოევგრადში.

აქ მაკედონიის მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელსაც დაესწრო დაახლოებით 50 ათასი მშრომელი.

ძვირფას საბჭოთა სტუმრებს გულითადად მიესალმნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ბლაგოევგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კრისტიო ტრიჩკოვი, ბულგარეთის უდიდესი საწარმოს — გოცე დელჩევის სახელობის საფეიქრო კომბინატის მქსოველი სნეჟანა კლაუზკა, რომელიც ბლაგოევგრადის ახალგაზრდობისა და ფეიქართა სახელით გულითადად მიესალმა კოსმონავტებს.

ბლაგოევგრადის საქალაქო სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრ მილენოვმა წაიკითხა საქალაქო სახალხო საბჭოს გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა კოსმონავტებს ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის მიენიჭათ ქალაქ ბლაგოევგრადის საპატიო მოქალაქეთა წოდება.

როცა ტრიბუნაზე ავიდა მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალი, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ვ. ტერეშკოვა, გაამართა მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია.

საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კოსმონავტების სახელოვანი ოჯახის სახელით ვალენტინა ტერეშკოვა გულითადად მიესალმა ქალაქ ბლაგოევგრადის მცხოვრებთ და მიულოცა მათ დიდი ეროვნული დღესასწაული.

ჩვენ, საბჭოთა კოსმონავტები, თქვა მან, სულითა და გულით ვუძღვნით მადლობას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ბულგარეთის მთავრობასა და პირადად ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს თქვენს მშვენიერ ქვეყანაში მოწვევისათვის.

ვალერი ბიკოვსკიმ, რომელსაც აღტაცებით შეხვდნენ მშრომელები, მადლობა გადაიხადა გულითადი შეხვედრისათვის. ჩვენ გვახარებს, თქვა მან, რომ მოგზაურობის დროს უკეთ გავეცნობით მოძმე ბულგარელი ხალხის ცხოვრებას, რომელიც მტკიცედ აშენებს სოციალიზმს სახელოვანი ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

სოფია, 11 სექტემბერი, (საკდესი). ბევრი ამაღელვებელი და სასიხარულო შეხვედრები აქვთ საბჭოთა კოსმონავტებს ვალენტინა ტერეშკოვასა და ვალერი ბიკოვსკის მოძმე ბულგარეთის მიწაზე.

გუშინ მსოფლიოში პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა პირველად შეხვდა თავის ბავშვობის მეგობარს ბულგარელ ვასილინა სტეფანოვას. ძნელია სიტყვებით გამოხატო ამ შეხვედრის სიხარული და გულითადობა. ეს მეგობრობა დაიწყო ასე, 1953 წლის დასაწყისში იაროსლავლელმა მეშვიდე კლასელმა მეშვიდე კლასის მოსწავლე პიონერმა ვალია ტერეშკოვამ წერილი მისწერა ბულგარელ გოგონას ვასილინა სტეფანოვას.

ათი წლის განმავლობაში მეგობრები წერდნენ ერთმანეთს, თუ როგორ ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, როგორ ატარებდნენ თავისუფალ დროს, წერდნენ, რა წიგნები უყვართ და რაზე ოცნებობდნენ.

— ეი ჩვენ შეეხვდით ერთმანეთს, — თქვა მსოფლიოში პირველმა კოსმონავტმა ქალმა ვალია ტერეშკოვამ და მოეხვია თავის მეგობარს.

ვასილინამ ახლა დაამთავრა სასწავლებელი და მუშაობს ელექტრონახურების ქარხანაში. „მე ბედნიერი ვარ, რომ დავუმეგობრდი ვალიას. ჩვენი მეგობრობა დიდი და მშვენიერია, — უთხრა ხაკდესის კორესპონდენტს ვასილინამ. — მე მყავს შვილი სვეტლანა და მსურს, რომ იგი ისეთივე მამაცი და გამბედავი იყოს, როგორიც ჩემი ძვირფასი მეგობარია“.

საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია

იუგოსლავიის დედაქალაქში — ბელგრადში — 12 სექტემბრიდან 20 სექტემბრამდე გაიმართება საპარლამენტთაშორისო კავშირის მორიგი 52-ე კონფერენცია, რომელშიც ამჟამად შედიან 69 ქვეყნის საპარლამენტი — ეროვნული.

კონფერენციაში მონაწილეობისათვის 9 სექტემბერს ღამით მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. თ. გორკინი, ი. ს. გროსული, ა. ა. ეუკაუსკასი, ნ. ა. მურავიოვა, ნ. ნ. რუსაკოვი, ვ. ნ. უვაჩანი.

საპარლამენტო კავშირის 52-ე კონფერენცია, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ი. ვ. პეივემ, მოგზაურობა საერთაშორისო ვითარების ერთგვარი გაუმჯობესების ატმოსფეროში. ვითარების ეს გაუმჯობესება, როგორც ცნობილია, გამოიწვია ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ხელშეკრულების ხელმოწერამ. ამ ხელშეკრულებას უკვე ხელი მოაწერეს მსოფლიოს მეტი წილი ქვეყნების წარმომადგენელმა.

კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ თანამედროვეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებს. მათ შორის — მსოფლიოს განვითარების პრობლემები, კოსმოსური სამართალი, მშვიდობის შენარჩუნება, უტარმო ზონებისა და შემცირებული შეიარაღების ზონების შექმნა, როგორც საყოველთაო და სრული განიარაღების გზაზე პირველი ნაბიჯი და სხვ.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის წევრები, თქვა ი. ვ. პეივემ, მონაწილეობას მიიღებენ საპარლამენტთაშორისო კავშირის გენერალური მდივნის მოხსენების გამო გამართულ საერთო დისკუსიაში, აგრეთვე სხვა საკითხების განხილვაში, რომლებიც შეტანილია კონფერენციის დღის წესრიგში.

(საკდესი).

ი. ბროზ ტიტოს განცხადება

ბელგრადი, 11 სექტემბერი. (საკდესი). იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ იუგოსლავიის რადიოს, ტელევიზიისა და ტანიუგის საგენტოსათვის გადაცემულ განცხადებაში რწმენა გამოთქვა, რომ მის მომავალ ვიზიტს ბრაზილიაში, ჩილეში, ბოლივიასა და მექსიკაში დიდი მნიშვნელობა ექნება იუგოსლავიისა და ამ ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცებისათვის და ხელს შეუწყობს საერთო ღონისძიებებს, რომლებსაც მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალები ახორციელებენ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და მშვიდობის კონსოლიდაციის მიზნით.

ჩვენი ვიზიტი ბრაზილიაში, ჩილეში, ბოლივიასა და მექსიკაში ეყნობა იმ დროს, როდესაც საერთაშორისო ვითარებაში ვლინდება დადებითი განვითარების ტენდენცია, ხაზი გაუსვა ი. ბროზ ტიტომ. მოსკოვის ხელშეკრულებამ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ ახალი იმედები დასახა და ამავე დროს ყველა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეებს დააკისრა ვალდებულება — არ დასჯერდნენ ამ პირველ ნაბიჯს და მაქსიმალური ღონისძიებანი იხმარონ სხვადასხვა პრობლემის შემდგომი მშვიდობიანი გადაჭრისა და საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი დადებითი განვითარებისათვის.

ი. ბროზ ტიტომ გამოთქვა იმედი, რომ ვიზიტის დროს მას საშუალება ექნება ბრაზილიის, ჩილის, ბოლივიისა და მექსიკის პრეზიდენტებთან ერთად დაწვრილებით განიხილოს ესა და სხვა ამგვარი საკითხები, აგრეთვე იუგოსლავიისა და ამ ქვეყნების ურთიერთობის საკითხები.

მჯიდროება თანამშრომლობა

ტუნისი, 10 სექტემბერი. (საკდესი). მმართველი პარტიის „ახალი დუსტურის“ ორგანომ გაზეთმა „ალ-ამალმა“ გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირ-ტუნისის ურთიერთობისადმი მიძღვნილი საუბარი საბჭოთა კავშირში ტუნისის რესპუბლიკის ელჩთან ფატჰი ზუპირთან.

საუბარში ფატჰი ზუპირმა გაიხსენა ტუნისის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და საბჭოთა კავშირ-ტუნისის ურთიერთობის განვითარების ისტორია და აღნიშნა: ამ ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ ხელმოწერა ხელს უწყობს ეკონომიკის ეროვნული გეგმების განხორციელებასა და ტუნისის ხალხის საარსებო დონის აღმავლობას. ეს შეთანხმება, ხაზგასმით აღნიშნა მან, ნათელი მაგალითია გულწრფელი და უანგარო თანამშრომლობისა, რომელიც ემყარება ურთიერთპატივისცემის, ურთიერთინტერესებისა და ტუნისის სუვერენიტეტის პატივისცემის ურყევ საფუძველს.

დასამუშავებელი პროექტები ითვალისწინებენ კაშხლების მშენებლობას, სამელიორაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოებს. პროექტების ნაწილი უკვე შესრულების სტადიაშია.

ფ. ზუპირი შეეხო რა ტუნისელ სტუდენტთა მდგომარეობას, რომლებიც მოსკოვში სწავლობენ, თქვა, რომ მათი სწავლება წარმატებით მიმდინარეობს. ტუნისელი სტუდენტები საბჭოთა მთავრობისაგან იღებენ სტიპენდიებს და სარგებლობენ ყველა უფლებით, ისევე როგორც საბჭოთა სტუდენტები. შეკითხვაზე, განიცდიდნენ თუ არა ტუნისელი სტუდენტები რაიმე ძალადურ გავლენას, როგორც ამის შესახებ წერდა დასავლეთის ზოგიერთი გაზეთი, ელჩმა უპასუხა: „სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი სტუდენტები საბჭოთა კავშირში არავითარ პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ძალადურ გავლენას არ განიცდიან“.

რეპრესიები გრძელდება

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკდესი). საიგონიდან მიღებული ცნობების თანახმად ნგო დინ დიემის ხელისუფალნი განაგრძობენ რეპრესიებს საიგონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა წინააღმდეგ, რომლებიც იბრძვიან ფაშისტური რეჟიმისა და ამერიკული მოძალეობის წინააღმდეგ. დღეს შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულმა პოლიციის ჯარებმა და რაზმებმა დაიკავეს საიგონის ყველა საშუალო სკოლა. ბევრი მოსწავლე დაპატიმრებულია. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მთავრობისა და ანტიამერიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დაწყების მომენტიდან საიგონში დაპატიმრებულია 1.800-მდე მოსწავლე.

ნგო დინ დიემის მთავრობამ გამოაცხადა, რომ ახალ სასტიკ ღონისძიებებს გაატარებენ ტერეშკოვა ... ოჯახის სახელით ვალენტინა ტერეშკოვა გულითადად მიესალმა ქალაქ ბლაგოევგრადის მცხოვ-

სტიმულს ეძებენ

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ პრეზიდენტი კენედი გამოვიდა ბიზნესმენების კომიტეტის ეროვნულ კონფერენციაზე და მხარი დაუჭირა კანონს გადასახადების შემცირების შესახებ.

ეს კანონპროექტი არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დამატებითი სტიმული მისცეს ამერიკის ეკონომიკას და თავიდან აიცილოს ახალი ეკონომიური დაქვეითება.

კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ წელიწადში 11 მილიარდი დოლარით შემცირდეს გადასახადები. ამ თანხიდან 8,7 მილიარდი დოლარი — საშემოსავლო გადასახადის შემცირების ხარჯზე და 2,3 მილიარდი დოლარი — კორპორაციების გადასახადების შემცირების ხარჯზე.

დიდი გადასახადების ახლანდელი სისტემა, განაცხადა კენედიმ, „ბოკავს ამერიკის ეკონომიკას“. საჭიროა საშემოსავლო გადასახადისა და კორპორაციების გადასახადების სწრაფი, მნიშვნელოვანი და ფართო შემცირება, თქვა მან, რათა „დამატებითი ძალა მივანიჭოთ ჩვენს ეკონომიკის კერძო სექტორს“.

ახალი ეკონომიური დაქვეითების სიმპტომები უკვე არის და ეს აწუხებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და მთავრობას. „ორნახევარი წლის განუწყვეტელი გაუმჯობესების შემდეგაც კი, — თქვა კენედიმ, — ამერიკის დამამუშავებელი მრეწველობა კვლავ საწარმოო სიმძლავრის 87 პროცენტით არის დატვირთული..., ხოლო უმუშევრობა სამოცდამეათე თვეა ჩვენი ქვეყნის სამუშაო ძალის 5 პროცენტს შეადგენს“. „ჩვენმა ქვეყანამ, — განაგრძო პრეზიდენტმა, — ახალი ადგილები უნდა გამონახოს იმ მუშებისათვის, რომლებიც ავტომატიზაციამ გამოდევნა, იმათთვის, ვინც გამოდევნეს ფერმერებიან, სამუშაო უნდა უშოვოს ახალგაზრდობას, რომელიც სკოლას ტოვებს, რათა შეარბილოს რასობრივი ურთიერთობის პრობლემები, შეამციროს დანაშაულობანი არასრულწლოვანთა შორის და მღელვარება მუშებში“.

პრეზიდენტმა თქვა, რომ მორიგი ეკონომიური დაქვეითება შესაძლოა ცხრა თვის იქით არც იყოს. მან მოითხოვა, რომ არ დააყოვნონ და მიიღონ ღონისძიებანი გადასახადების დარეგულირებისა, რომლებიც მან წამოაყენა.

„ცივი ომის“ ქურუმთა მოხსენება

ვაშინგტონი, 10 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება:

სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის სამხედრო მზადყოფნის ქვეკომისიამ გუშინ გამოაქვეყნა მოხსენება ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების სამხედრო ასპექტების თაობაზე.

ამ მოხსენების გამოქვეყნება დაუკავშირეს მოსკოვის ხელშეკრულების განხილვის დაწყებას ამერიკის შეერთებული შტატების სენატში და მიზნად ისახავს ხელი შეუშალოს ხელშეკრულების რატიფიკაციას.

ქვეკომისიის თავმჯდომარემ სენატორმა სტენნისმა გასულ კვირაში განაცხადა, რომ ხმის მისცემს ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ. ხელშეკრულების წინააღმდეგ დიდი ბრძოლა აბრძვიან ქვეკომისიის წევრები სენატორი გ. გოლდუოტერი და სენატორი ტერმონდი. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ მოხსენების ავტორებმა გამოიჩინეს უარყოფითი დამოკიდებულება ხელშეკრულებისადმი.

მოხსენება ეხება ხელშეკრულების მხოლოდ სამხედრო და ტექნიკურ მხარეებს. იგი შედგენილია 24 მოწმის, უპირატესად სამხედრო პირთა და მეცნიერთა ჩვენების საფუძველზე, რომლებიც ცნობილი არიან იმით, რომ მოითხოვენ გაგრძელდეს გამალებული ატომური შეიარაღება.

„მოწმეთა შერჩევა მთლიანად ქვეკომისიის თავმჯდომარის სენატორ სტენნისს ხელში იყო. ამიტომ მოხსენება ასახავს „ცოფიანთა“ და ყველაზე ავანტიურისტ მილიტარისტთა აზრს.

მოხსენების ავტორები ამტკიცებენ, რომ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციას დაუკავშირდება „სერიოზული“, ალბათ, „საშიში“ შედეგებიც კი შეერთებული შტატებისათვის. ისინი ჩივიან იმას, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუშლის შეერთებულ შტატებს მოამარაგონ თავიანთი შეიარაღებული ძალები ყველაზე თანამედროვე იარაღით, რის შექმნა შეუძლია ჩვენს მეცნიერებასა და ტექნიკასო“.

ქვეკომისიის წევრები მოხსენებაში აცხადებენ, რომ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის სარდლის გენერალ პაუერის გამოსვლამ ქვეკომისიის დახურულ სხდომაზე, რომელმაც, როგორც ცნობილია, გაილაშქრა ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ.

მოხსენების ავტორებს საჭიროდ მიაჩნიათ „მნიშვნელოვანი უპირატესობა თავდაცვის საშუალებათა როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის მხრივ“, ესე იგი ქადაგებენ „ძალის პოზიციის“ ძველ გაკოტრებულ პოლიტიკას.

მოხსენებისათვის ქვეკომისიის წევრებს ერთსულოვნად არ დაუჭერიათ მხარი. ქვეკომისიის წევრმა სენატორმა სიმინგტონმა მოხსენებას განსაკუთრებული აზრი დაურთო, რომელიც განაცხადა, ქვეკომისიის დასკვნები იმის შესახებ, თუ რა გავლენას მოახდენს ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებაზე, „მტკიცედ პესიმისტურიაო“. ეს ხელშეკრულება, ამბობს სიმინგტონი, „ძალიან პატარა ნაბიჯია; მიუხედავად ამისა, მას შეუძლია იყოს პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომ დაწესდეს გარკვეული ფორმის დამაკმაყოფილებელი კონტროლი ატომური იარაღისადმი და ეს ხელს შეუწყობს სამართლიანი მშვიდობის დამყარებას კანონის ფარგლებში.

ამიტომ, ბევრ ცხადაა სიმინგტონმა, ხმას მივცემ ხელშეკრულების რატიფიკაციას“.

ქვეკომისიის წევრმა სენატორმა სალტონსტოლმა უარი თქვა ხელი მოეწერა ქვეკომისიის მოხსენებაზე. „ეს მიმაჩნია, — განაცხადა მან, — რომ ამ მოხსენების საერთო ტონი და დასკვნები, თუ რა გავლენას მოახდენს ხელშეკრულება, თუ იგი დამტკიცებულ იქნა, ჩვენს ეროვნულ უშიშროებაზე, გაუმართლებლად პესიმისტურია“.

როგორც სენატორი, განაცხადა სალტონსტოლმა, ვაპირებ ხმა მივცე ხელშეკრულების რატიფიკაციას.

„ცივი ომის“ ქურუმთა ...



ვერაფერს ვერ ვხედავ, არაფერი არ მესმის და არაფერს არ ვიტყვი.
ნახატი დასავლეთ გერმანულ გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუდან“.

... ეკონომიკურ ...

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა სიტყვა წარმოთქვა ამერიკის ლეგიონის კონფერენციაზე მაიამიში (ფლორიდის შტატი). თავის გამოსვლაში იგი შეეხო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებსაც, როგორც მან თქვა, „სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატების უშიშროებისათვის“.

რასკმა თავისი სიტყვა დაიწყო რწმუნებით, რომ იგი და მისი კოლეგები სახელმწიფო დეპარტამენტში ძლავრი სამხედრო თავდაცვის მტკიცე მომხრენი არიან.

საჭიროა, თქვა მან, „ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს გვაყვედეს მძლავრი, მოქნილი და მობილური შეიარაღებული ძალები“.

... ...

ვაშინგტონი, 11 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა სიტყვა წარმოთქვა ამერიკის ლეგიონის კონფერენციაზე მაიამიში (ფლორიდის შტატი). თავის გამოსვლაში იგი შეეხო მთელ რიგ პრობლემებს, რომლებსაც, როგორც მან თქვა, „სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შეერთებული შტატების უშიშროებისათვის“.

დინ რასკის გამოსვლა

ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, აღნიშნა რასკმა, მთლიანად იცავს შეერთებული შტატების ინტერესებს. ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმას სეროიზული შედეგები მოყვებოდა შეერთებული შტატებისათვის. ეს შედეგები, თქვა მან, განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა როგორც ჩვენი მდგომარეობისათვის მსოფლიოში, ასევე მშვიდობის პერსპექტივებისათვის. ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამოიწვევდა ატომურ იარაღის გამოცდის უფრო ინტენსიურ რაუნდს, ახალ ალმაცერ-ბას გამაღლებული შეიარაღების სპირალით, ჰაერის შემდგომ მოწამვლას, დაბინძურებისა და უნდობლობის ზრდას, ომის პერსპექტივების გადიდებას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დადებითად შეაფასა ხელშეკრულება და შემდეგ შეეხო მიზნებს, რომლებიც შეერთებულ შტატებს აქვთ დასახული საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაში.

რასკმა საჭიროდ მიიჩნია გაემეორებინა მსმენელთათვის გაცვეთილი თეზისი კომუნისტთა „მსოფლიო ბატონობისათვის“ მისწრაფების შესახებ. მას შემდეგ, რაც მორიგი ანტიკომუნისტური კერძოდ გაუმასპინძლდა მსმენელებს, რასაკი გადავიდა რეალურ საკითხებზე. მან განაცხადა: „მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ურთიერთდაინტერესებული არიან თავიდან აიცილონ ურთიერთმოსპობა. და მიგვაჩნია, რომ საბჭოთა ლიდერები აღიარებენ ამას“.

„ამრიგად, — განაგრძო რასკმა, — იმედი გვაქვს, რომ შესაძლებელი გახდება მიღწეულ იქნეს შეთანხმება იმ დამცველ ღონისძიებათა შესახებ, რომ თავიდან ავიცილოთ ომები უბედური შემთხვევის, შეცდომის ან უეცარი თავდასხმის შედეგად. მხარს ვუჭერთ აგრეთვე, თუმცა ამის მიღწევა მნიშვნელოვნად უფრო ძნელი იქნება, ფაქტიური სამხედრო წარმოების შენელებასა და შეიარაღების არსებული დონის შემცირებას შესაბამისი ინსპექციის პირობებში. ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები, რასაკვირველია, დაინტერესებული ვართ ბერლინის პოტენციური კრიზისის ლიკვიდაციით ან შემცირებით და სხვა საკითხებით“.

რასკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მოლაპარაკება სცილდება ორი მხარის ინტერესებს და ამიტომ ამ მოლაპარაკებაში დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთელმა მოკავშირეებმა და მიუმხრობელმა ქვეყნებმა...

... ...

... ...

...



გმირული წარსულის რელიკვიები

საქართველოს ხ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ამას წინათ გაიხსნა კიდევ ერთი ახალი, — საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური გამოფენა IV-XIII საუკუნეებისა. არსებითად ეს არის მეორე ნაწილი საქართველოს ერთიანი ისტორიული გამოფენისა, რომლის მოწყობაზე წლების განმავლობაში გეგმაშეწონილად მუშაობს ხსენებული მუზეუმის ფეოდალური ხანის ისტორიის განყოფილება პროფ. ?. ხაქარაიას ხელმძღვანელობით.

გამოფენა, რომელსაც ოთხი დიდი დარბაზი უჭირავს, ორ განყოფილებ ად არის წარმოდგენილი: 1 — გარდამავალი და ადრეული ფეოდალური ხანა — IV-X საუკუნეები; II — განვითარებული ფეოდალიზმის ხანა—XI-XIII საუკუნეები.

შედგიარეთ პირველ დარბაზში. მხახველს ყურადღებას იპყრობს პირველ თაროზეევ უხვად წარმოდგენილი არქეოლოგიური მასალა ნაქალაქარ ურბნისიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდანაც: დიდი და პატარა საღვინე ჭურჭელი, ხელადები, ქვევრები და ძველი ქართული მარნის დამახასიათებელი სხვა ინვენტარი, რომელიც უსიტყვოდ ადასტურებს ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მაღალი დონის შესახებ იმ შორეული წარსულისათვის. ამ მხრივ საკმარისია ადამიანმა კუთხეში მდგარ ოდ ქვევრს (ურბნისიდან) შეხედოს, რომლის სიმაღლე ორ მეტრს აღემატება, რომ მკაფიოდ წარმოდგინოს იმდროინდელი საქართველოს მევეხახეობა-მეღვინეობის ადგილი და მნიშვნელობა ხალხის ცხოვრებაში. იქვე სტენდებსა და თაროებზე ექსპონირებულია ქართველი კაცის ხანელაკი: თიხის, მინის, ლითონის შრავალი ძვირფასი ნაწარმი და ხელოვნების არაერთი იშვიათი ნიმუში. მარტო მინის ფიალა რად ღირს (სამთავროს სამაროვნიდან) ფარშავანგის გამოსახულებითა და წარწერით: „მესვი, იცოცხლეს!“ აქვეა აგრეთვე IV-V საუკუნეების საქართველოში გაჩაღებული ვაჭრობის და განვითარებული საქალაქო ცხოვრების დამადასტურებელი ექსპონატები: ქართული და უცხოური ფულები, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაულები და სხვ. ქართველ ხალხს უკვე იმ დროს, IV-X საუკუნეებში, შრავალი დიდი და მდიდარი ქალაქი ჰქონია. ქართული ქალაქებს სიდიადეზე და, თუ გნებავთ, სიმდიდრეზეც ღაღადებენ ამ დარბაზის კედლებზე დახატული ქალაქთა გეგმები: ურბნისისა და უჯარმისა აღმოსავლეთ საქართველოში; ანაკოფიისი და ნოქალაქევის — დასავლეთში. ფქალაქან მშენებლობის დამახასიათებელია ის, რომ საქალაქო მშენებლობის სათავეში მაშინ ქართლში ხუროთმოძღვრები მდგარან. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია არქეოლოგების მიერ მცხეთაში ნაპოვნი ქვა IV-V საუკუნეებისა, რომელიც მხატვართუხუცესსა და ხუროთმოძღვარს აქოლის განეკუთვნება. ქართველ ხუროთმოძღვართა გამჭრიახი გონების და ზათი გამრჯე ხელის დამახასიათებელია ქოროღოს (არაგვის ხეობა) ბარელიეფების მთელი წყება, რომელიც ამ დარბაზშია ექსპონირებული და გადმოგვცემს შენობის აგების მთლიან პროცესს საშენებელი ქვის მოჭრის მომენტიდან შენობის დამთავრებამდე.

მეორე დარბაზში გამოფენილია IV-X საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველი ძეგლები. აქ უპირველეს ყოვლისა მნახველის ყურადღებას იპყრობს კედელზე მოთავსებული რუკა — დაქუცმაცებული, ფეოდალური საქართველოსი და ამ უკანასკნელის გამოხენილი სახელმწიფო მოღვაწეთა ბარელიეფები თუ ფრესკები. მაგალითად, აქ არის ტაო-კლარჯეთის (სამხრეთ-დასავლეთი საქართველო) სამთავროს ფუძემდებლისა და პირველი ერისთავრის ამოტის (IX ს. პირველი ნახევარი), ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის და სხვა დიდებულთა ბარელიეფები. გამოფენილია აგრეთვე საქართველოს პირველი, ბაგირთიანებელი მეფის ბაგრატ III ფრესკა ბედიიდან. იქვე დაბალ ვიტრინებში ექსპონირებულია მდიდართა და ღარიბთა სამკაულები, მათ შორის ძვირფასი თვლებით გაწყობილი ოქროსა და ვერცხლის უნიკალური ნივთები და ბეჭედები.

ძველი ქართული კულტურის გაშუქება იწყება ქართული დამწერლობის განვითარების ნიმუშების (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული) ჩვენებით. იქვეა უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების (წარწერები) ნიმუშები, მათ შორის უძველესი ქართული, თარიღიანი წარწერა ბოლნისიდან და ახლახან აღმოჩენილი მოზაიკური წარწერა პალესტინიდან და სხვ.

გმირული წარსულის რელიკვიები

კედლებზე გამოფენილია ძველი ქართული არქიტექტურა, მისი განვითარების დამახასიათებელი ძირითადი ეტაპები.

ამ დარბაზში იწყება გამოფენის მეორე განყოფილება, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის სახელოვან ისტორიას XI-XIII საუკუნეებისათვის. ეს იყო ერთიანი ფეოდალური საქართველოს ძლიერების ხანა. ეს განყოფილებაც ხალხის სამეურნეო ყოფის ჩვენებით იწყება. ამ მხრივ აქ ყურადღებას იქცევს ქართული მეტალურგიის მაღალი დონე, რომელიც წარმოდგენილია XII ს. სახნისებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო თუ სოფლახო ნივთებით. სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებელია გამოფენაზე წარმოდგენილი გეგმა-ნახაზები ალაზნის სარწყავი არხისა, თუ სხალტბა — შიო-მღვიმის წყალსადენისა, მისი დეტალებით. იმ დროისათვის საქართველოში განვითარებული ხანს კერამიკული წარმოებაც. იქვე გამოფენილია ერთმალიანი „ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა“ გადასროლილნი, რათა ავი ამინდის შემთხვევაშიც საქარავნო ვაჭრობა არ შეფერხებულიყო. მაშინდელი ჩვენი დიდებული ქალაქები ცხოველ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდნენ როგორც ადგილობრივ, ისე შორეულ უცხო ქალაქებთანაც.

გამოფენის მესამე დარბაზში ექსპონირებულია საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მასალები.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ გამოფენის მომწყობთ არ დავიწყებიათ საზოგადოების ის ფენების წარმოჩენაც, რომელნიც დღედაღამ შრომობდნენ მინდორსა თუ ტყეში, ყანაში, ბაღ-ვენახებში, სხვადასხვა სახელოსნოებში და თავიანთი დაკოჟრებული ხელებით ქმნიდნენ იმ დოვლათს, რომლითაც საზოგადოება არა მარტო ცხოვრობდა, არამედ ქმნიდა იშვიათ, „ხელთუქმნელ“ ძეგლებს, თან იარაღით ხელში, ეგერიებდა მოზღვავებული მტრის იერიშებს და ძლევამოსილი მიდიოდა წინ. ესენია ძველ ხელნაწერთა მინიატიურებიდან ამოღებულ ფეხშიშველა და ძონძებში გახვეული ადამიანთა გამოსახულებანი. ერთ შემთხვევაში, ისინი ბარით ხელში რგავენ მცენარეებს, მეორეში კი წელში მოხრილი ადამიანი ნამგლით ხელში დგას თავთავდამძიმებულ, გადაყვითლებულ ყანაში, როგორც ჩანს, მკის ჯერს.

იქვეა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხებზე იდეურ-პოლიტიკური გავლენის ამსახველი მასალებიც. კერძოდ, ექსპონირებულია ერთიანობის ხანის საკმაოდ კარგად შესრულებული ქართული სტილის ფრესკები, დიდი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე დღემდე შემოჩენილი, ნუზალის, ზელენჩუკის, ტყობაერდის და სხვა ეკლესიებიდან.

მეოთხე დარბაზი ეძღვნება მთლიანად XI-XIII საუკუნეების საქართველოს კულტურის მიღწევათა ექსპონირებას. მხახველის ყურადღებას იტაცებს უპირველეს ყოვლისა რუკა, რომელზეც დატანებულია ქართული მწიგნობრობის როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთული ცენტრები.

ვიტრინებში განლაგებულია ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები, რომელთა გვრგვინს უკვდავი შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი, გამოფენაზე წარმოდგენილია გვიანდელი (XVII ს.) ხელნაწერებით, რადგანაც უფრო ადრინდელი ხელხები ამ ძეგლისა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამ დარბაზის ერთ-ერთ ვიტრინას ამშვენებს XII საუკუნის გენიალური ქართველი ოქრომჭედელთა ბეშქენ და ბეკა ოპიზარების ნამუშევართა იშვიათი ნიმუშები.

დარბაზის კედლებზე თვალისმომჭრელად განლაგებულია მსოფლიო მნიშვნელობის, ძველი ქართული არქიტექტურული ძეგლების იშვიათი ფოტოსურათები. აქ გამოფენილია: სვეტიცხოვლის, სამთავისის, ბეთანიის, ვარძიის, ხერთვისის და სხვა დიდებულ ძეგლთა შთამბეჭდავი სურათები. იქვე კედელზეა ფერადოვანი და მაღალი ხელოვნებით შესრულებული მხატვრობის ნიმუშები და ფრესკები. ამ დარბაზში გამოფენილი ფრესკებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა „ყინწვისის ანგელოზი“, რომელიც ერთი შეხედვით ხიბლავს ადამიანს. ის იმდენად რეალისტურ ფერებშია წარმოდგენილი, რომ მარტო ეს ძეგლი XII საუკუნის საქართველოში ჰუმანიზმის ნამდვილი გამარჯვების მლოდადებელია. ეს ბრწყინვალე რენესანსული ძეგლი ადამშვენებდა მსოფლიოს რომელიც ვნებავთ მუზეუმის ექსპოზიციას.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოფენა მოწყობილია დიდი მხატვრული გემოვნებით. ყველაფერი თავის ადგილას, არაფერი ზედმეტი! გამოფენის მომწყობთა სასახელოდ უნდა ითქვას ისიც, რომ აქ ყველაფერი წარმოდგენილია მხოლოდ ორიგინალური იშვიათი და აუცილებელი გამონაკლისების გარდა.

კ. გრიგოლია,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სურათზე: გამოფენის ერთი კუთხე. კერამიკული ძეგლები ნაქალაქარ ურბნისიდან.

მ. ი. კოკოჩაშვილი

უეცრად გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის კათედრის გამგე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ ივანეს-ძე კოკოჩაშვილი.**

პროფესორი მ. კოკოჩაშვილი დაიბადა 1901 წელს 10 მარტს ქ. ქუთაისში, პროვიზორის ოჯახში.

1919 წელს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1924 წელს.

ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტი მ. კოკოჩაშვილი მუშაობას იწყებს ცნობილ ანატომ პროფესორ ა. ხათიშვილთან პრეპარატორის თანამდებობაზე. სტუდენტობის პერიოდშივე ასრულებს ასისტენტის მოვალეობას და კურსის დამთავრების შემდეგ, როგორც ნიჭიერ და შრომისმოყვარე ახალგაზრდას, ირჩევენ საშტატო ასისტენტის თანამდებობაზე.

1926 წელს მ. კოკოჩაშვილი სამუშაოდ გადადის ჰოსპიტალურ ქირურგიულ კლინიკაში, რომელსაც იმ ხანებში ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ქირურგი პროფესორი გ. მუხაძე.

ამ პერიოდიდან იწყება მისი მუშაობის ახალი და მეტად ნაყოფიერი პერიოდი. ანატომიის ღრმა ცოდნამ საშუალება მისცა მოკლე დროის განმავლობაში აეთვისებინა ქირურგიის საფუძვლები და გახდგრძო მეცნიერული კვლევა-ძიება ამ მიმართულებით.

1932 წელს პირველი ქართველი ბავშვთა ქირურგის მ. კილოსანიძის გარდაცვალების შემდეგ მ. კოკოჩაშვილი ინიშნება ქალაქის პირველი საავადყოფოს ბავშვთა ქირურგიული განყოფილების გამგედ. ამავე წელს მას ირჩევენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიისა და ორთოპედიის ახლადდაარსებული კათედრის გამგედ. ამ კათედრას განაგებდა სიკვდილამდე.

1935 წელს მ. კოკოჩაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, ხოლო 1936 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. [illegible] ბავშვთა ქირურგიაში არც [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...